ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/14232156-16 27 08 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი №114-ში (საკ. კოდი №01.13.05.003.006) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1419481 04.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი №114-ში (საკ. კოდი №01.13.05.003.006) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

±0.00 ნიშნულზე ა-ა ღერძის გარეთ ორ შესასვლელ კართან მოწყობილია პანდუსები, ასევე პანდუსი მოწყობილია გ-გ ღერძთან და კარი ნაცვლად გასახსნელისა მოწყობილია გასაწევი კარი, ხოლო მის მიმდებარედ განთავსებულია კონდენციონერი.
სახურავზე „1-1“ და „5-5“ ღერძებზე გაუქმებულია პარაპეტები.
„1-5“ ფასადზე ვიტრაჟებზე განთავსებულია სარეკლამო პლაკატები, ხოლო +3.85 ნიშნულზე მოწყობილია დამატებითი სარეკლამო სტენდი. ფასადის კედლის ძირები მოსაპირკეთებელია.
„ა-გ“ ფასადზე შეცვლილია მოპირკეთების კონფიგურაცია.
„5-1“ ფასადზე „1-1“ ღერძთან მოწყობილია წყლის მილი.
„გ-ა„ ფასადზე შეცვლილია მოპირკეთების კონფიგურაცია,
გვერდით ფასადებზე ლითონის კონსტრუქცია არ არის შელებილი თეთრ ფერში.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია"-ს, თემურ ჭყონიას, ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი №114-ში (საკ. კოდი №01.13.05.003.006) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14232156-16 20.08.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუკირიშვილი**

Scanned by CamScanner